

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა
და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N 1

ქ.ვანი თავისუფლების N65

9 თებერვალი 2021 წელი

11:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: რამაზ არველაძე, დავით ხარძეიშვილი, გელა ღვიტიძე, ეთერ ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, გიგა გოგიბერიძე, თენგიზ დვალისძე, ამირან ტალახაძე.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდა: კობა ძაგნიძე, თორნიკე ერისთავი, აპოლონ რამიშვილი.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

დანართი N1

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - რამაზ არველაძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე.

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2021 წლის სამუშაო გეგმა. (იანვარი-სექტემბერი)

მომხს: რამაზ არველაძე

1. კომისიის სამუშაო გეგმის განხილვა-დამტკიცება (იანვარი-თებერვალი)
2. 2021 წლის სოციალური პროგრამების განხილვა (წლის განმავლობაში);
3. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსის 2020 წლის ანგარიშის მოსმენა (თებერვალი);
4. ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვა. (მარტი-აპრილი)
5. ა(ა)იპ „ვანის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ დირექტორის ანგარიში 2020 წელში გაწეული მუშაობის შესახებ (აპრილი-მაისი);
6. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსის ანგარიში 2021 წელს მიმდინარე მუშაობის შესახებ (ივლისი-აგვისტო);
7. ა(ა)იპ „ვანის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ დირექტორის ანგარიში 2021 წელს მიმდინარე მუშაობის შესახებ (ივლისი-აგვისტო);
8. კომისიის თავმჯდომარის ანგარიშის მოსმენა გაწეული მუშაობის შესახებ (ივლისი, სექტემბერი).

კომისიის წევრებმა მოიწონეს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2021 წლის სამუშაო გეგმა, რომელიც მზად არის გავიდეს ბიუროს სხდომაზე დასამტკიცებლად

საკითხის ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ რამაზ არველაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

რამაზ არველაძე
ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა
კომისიის სხდომის თავმჯდომარე